# ბრწყინვალე გამარჯვება

მესტია, 20 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ხუთი დღის წინ მთამსვლელთა ჯგუფი დამსახურებული ოსტატის მიხეილ ხერგიანის მეთაურობით გავიდა ჩრდილოეთ უშბის დღემდე აუღებელი აღმოსავლეთი კედლის დასაძლევად. როგორც ცნობილია, ეს კედელი ყველაზე ძნელი ასაღები და სახიფათოა.

და აი, ხუთი დღის წინ დაწყებული ლაშქრობა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" სარეკორდო-სპორტულმა გუნდმა წარმატებით დააგვირგვინა. **20 აგვისტოს, საღამოს 9 საათზე ქართველმა სპორტსმენებმა დაიპყრეს ეს აუღებელი ზღუდეც!**

უშბის აღმოსავლეთი კედელი ჭალაათის ყინვარის სათავეებიდან (3.900 მ) ჩრდილოეთ უშბის ზემოთოვლიან თხემამდე (4.600 მ) თითქმის შვეული და ნახევარზე მეტად უარყოფითი კუთხის მქონე 600 მ სიგრძის მასივია. მისი დაპყრობა დღემდე იდგა მთამსვლელთა პირველხარისხოვან ამოცანად, რომლის გადაჭრის პატივიც წილად ხვდათ ქართველ ალპინისტებს.

კავკასიონის ცენტრალურ ნაწილში მოპოვებული ეს დიდი გამარჯვება იმის საწინდარია, რომ ქართული ალპინიზმი კვლავ მოწინავეთა რიგებშია როგორც საბჭოთა კავშირში, ისევე საერთაშორისო ასპარეზზე.

ს. გვალია,
სპორტის ოსტატი.

# სსრ კავშირის ოლიმპიურ კომიტეტში

ამ დღეებში შედგა სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა, რომელმაც მოისმინა „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ნ. რუსაკის ცნობა საბჭოთა სტუდენტების საერთაშორისო სპორტულ ურთიერთობათა შესახებ. „ბურევესტნიკი" — უნივერსიტეტთა საერთაშორისო სპორტული ფედერაციის (ფისუ) წევრია 1952 წლიდან და აქტიურად მონაწილეობს მის მუშაობაში. ამჟამად ფისუ აერთიანებს სტუდენტთა 39 ეროვნულ სპორტულ ორგანიზაციასა და კავშირს. უკანასკნელ ხანს მის საქმიანობაში მონაწილეობდნენ აფრიკის, აზიის და ლათინური ამერიკის სტუდენტთა ორგანიზაციები. ფედერაციის მოღვაწეობაში მთავარი ადგილი უკავია ზაფხულისა და ზამთრის უნივერსიადებს, აგრეთვე სხვა სპორტულ შეჯიბრებებს, რომლებიც დიდად უწყობენ ხელს მეგობრული სულისკვეთების დამყარებას სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტთა შორის. ფისუს აღმასკომის გადაწყვეტილებით 1965 წელს უნივერსიადა ჩატარდება უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში.

ფისუს აღმასკომმა თავის სხდომაზე, რომელიც წელს მოსკოვში შედგა, მიიღო მთელი რიგი სხვა გადაწყვეტილებებიც სტუდენტთა შორის სპორტის შემდგომი განვითარების მიზნით.

პრეზიდიუმის სხდომაზე ეს ფედერაცია გაკრიტიკებული იქნა იმის გამო, რომ იგი არ ცნობს გდრ-ის სტუდენტთა სპორტულ ორგანიზაციებს თავის სრულუფლებიან წევრად.

სსრ კავშირის სპორტული მედიცინის ფედერაციის თავმჯდომარემ დ. გრაევსკაიამ პრეზიდიუმის სხდომის მონაწილეებს უამბო საერთაშორისო სპორტულ ფედერაციაში და მის კომისიებში საბჭოთა მეცნიერთა მონაწილეობის შესახებ.

სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა ვ. სავინმა გააკეთა ინფორმაცია ოლიმპიური თამაშების დროს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაში საბჭოთა წარმომადგენლების მონაწილეობის შესახებ, აგრეთვე იმ წინადადებების შესახებ, რომელთა წამოყენებასაც აპირებს ამ სხდომაზე განსახილველად საბჭოთა კავშირი.

პრეზიდიუმმა დაამტკიცა სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის დელეგაცია, რომელიც აღნიშნულ სხდომაში მიიღებს მონაწილეობას. დელეგაციაში შევიდნენ: კ. ანდრიანოვი, ა. რომანოვი, რ. კისელევი და ვ. სავინი.



ახლახანს დამთავრდა სსრ კავშირის პირველობა საგზატკეცილო ველორბოლაში. სურათზე: ველოსიპედისტები დისტანციაზე.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 21-ე წელი

№ 165 (2528) ◉ შაბათი, 22 აგვისტო, 1964 წ. ◉ ფასი 2 კაპ


# გამარჯვება დიდი უპირატესობით

ფრანგ და საბჭოთა ველოსიპედისტთა ამხანაგური საერთაშორისო მატჩები უკვე ტრადიციად იქცა. ახლახან დამთავრებულ ამ ორი ქვეყნის სპრინტერთა შეხვედრების შემდეგ, მოსკოვში ჩამოვიდნენ საფრანგეთის სპორტსმენები — მსოფლიო ჩემპიონები 100 კმ რბოლაში.

შეჯიბრება მოეწყო მოსკოვის ახლო მდებარე მინსკის გზატკეცილზე. როგორც ჩვენი სპორტსმენებისთვის, ისე სტუმრებისთვის ეს შეხვედრა ძალების გამოცდა იყო მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, რომელიც გაიმართება საფრანგეთში, სექტემბრის დასაწყისში.

ფრანგების მხრიდან გამოდიოდნენ მსოფლიო ჩემპიონი გუნდურ რბოლაში დ. მოტი, დიდ ეროვნულ შეჯიბრებებში გამარჯვებულნი ჟ. — ლ. კენი, ჟ. — კ. ჟილმენი და ფ. პომარი. ჩვენი ქვეყნის პირველ გუნდში გამოდიოდნენ: ა. პეტროვი, ა. ვიარავასი, ა. ოლიზარენკო, გ. ლებედევი. დისტანცია იყო 100 კმ.

რბოლა წარიმართა ჩვენი სპორტსმენების დიდი უპირატესობით. მათ დისტანციის გავლას მოანდომეს 2:10.41,5. ეს შედეგი ახალი საკავშირო მიღწევაა. ფრანგების დროა 2:12.15,3. სსრ კავშირის მეორე ნაკრების შედეგია 2:13.43,4.

# მინსკის ნახევარფინალზე ფინიში დაიწყო

მინსკი, 21 აგვისტო (დეპეშით ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის XXXII საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალის XII ტურში გაიმარჯვა მხოლოდ ნოსკოვმა, რომელმაც მოუგო ბირბრაგერს. ყაიმით დამთავრდა გაფრინდაშვილ — ვალიევის, ზახარიან — სუეტინის, ხოდოს — ზილბერისა და პეტერსონ — ბოიარინოვის პარტია.

ოთხი პარტია გადაიდო. გურგენიძეს პოზიციური უპირატესობა აქვს მიკენასთან.

მ. შიშოვი,
სპორტის ოსტატი.

# უკანასკნელი საათის!

▲ **ბუდაპეშტი.** 21 აგვისტო. უნგრეთში მიმდინარე ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში 4 ქართველი სპორტსმენი მონაწილეობს — ა. მეტრეველი, ნ. მქანარიშვილი, თ. კაკულია და რ. აბუანდაძე. შეჯიბრებაში წარმატებით გამოდის ა. მეტრეველი. თავდაპირველად მან დაამარცხა უნგრელი კლეინი — 2:6, 6:2, 6:3, შემდეგ კატონა (უნგრეთი) — 6:2, 5:7, 6:1.

▲ **მინსკი.** 21 აგვისტო. **ჩვენი ქვეყნის მოფარიკავეთა ჩემპიონატში, მას შემდეგ, რაც გაირკვა რაპირისტ ვაჟთა შორის ახალი ჩემპიონის ვინაობა (სარატოველი ი. შაროვი), დღეს ამ სახეობის წარმომადგენლებმა დაამთავრეს გუნდური ასპარეზობაც. გაიმარჯვა „დინამომ".**

▲ ათენი, 21 აგვისტო. დღეს ოლიმპოზე აანთეს XVIII ოლიმპიური თამაშების ცეცხლი. შემდეგ კი იგი 16 ბერძენი ქალიშვილის თანხლებით „ოლიმპოს" სტადიონზე მიიტანეს. აქ საბერძნეთის მეფე კონსტანტინემ ჩირაღდანი გადასცა ერთ-ერთ იმ სპორტსმენთაგანს, რომელიც ოლიმპიურ ცეცხლს ათენში ჩაიტანს. საბერძნეთის დედაქალაქში ოლიმპიურ ცეცხლს ელოდება თვითმფრინავი „ტოკიო". იგი „ნადავლს" აზიის მრავალი ქვეყნის დედაქალაქზე გავლით ტოკიოში ჩაიტანს 6 სექტემბერს.

# დღეს შედგება პირველი მატჩი

დღეს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის საწყლოსნო აუზში გაიმართება იუგოსლავიისა და სსრ კავშირის წყალბურთელთა ოლიმპიური გუნდების პირველი მატჩი. სტუმრები ჩვენს სპორტსმენებს შეხვდებიან აგრეთვე 23 და 25 აგვისტოს.

# 140 ოლიმპიელით

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელს ტოკიოს ოლიმპიადაზე დაიცავს 140 სპორტსმენი. ამ ქვეყნის ოლიმპიელთა შორის არიან მოკრივეები, ტანმოვარჯიშეები, ნიჩბოსნები, ძალოსნები, ფრენბურთელები, მოფარიკავეები, მოჭიდავეები, მსროლელები, ველოსიპედისტები, კალათბურთელები, მძლეოსნები.

# საქართველოს სპორტკავშირში

ჩვენს პრესაში გამოქვეყნდა სსრ კავშირის წყალბურთელთა გუნდის წევრების უღირსი საქციელის შესახებ. იუგოსლავიიდან და რუმინეთიდან დაბრუნებისას, სადაც ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად იყვნენ, მათ გამოიჩინეს სიხარბე, შეიძინეს უცხოური ნივთების დიდი რაოდენობა. ეს სამარცხვინო ფაქტი ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობის მსჯელობის საგანი გახდა. მას ფართოდ გამოეხმაურა პარტიული, კომკავშირული და სპორტული პრესა. ჩვენი ქვეყნის წყალბურთელთა ნაკრების შემადგენლობაში სხვებთან ერთად გამოდიოდნენ საქართველოს წარმომადგენლებიც — ლ. გოგოლაძე, გ. ჩიქვანაია და ვ. რომანოვი.

რესპუბლიკის სპორტის მოყვარულთათვის მოულოდნელი იყო ის ამბავი, რომ საქართველოს საუკეთესო სპორტსმენებმა, სამაგალითოდ მიჩნეულმა ახალგაზრდებმა ჩაიდინეს უღირსი საქციელი. სადაც არ უნდა გამოსულიყვნენ ზემოჩამოთვლილი სპორტსმენები, ჩვენს ქვეყანაში თუ მის ფარგლებს გარეთ, ისინი სხვებისგან ყოველთვის გამოირჩეოდნენ სანიმუშო დისციპლინით, მაღალი ზნეობით.

საქართველოს სპორტკავშირმა იმსჯელა ამ საკითხზე და მიიღო სათანადო დადგენილება. მხედველობაში იქნა მიღებული გ. ჩიქვანაიას, ლ. გოგოლაძის, ვ. რომანოვის შეუბღალველი წარსული ყოფაცხოვრებასა და სპორტში, მათი ჩინებული გამოსვლები საქალაქო, რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო მატჩებში, მაღალი სპორტული შედეგები და დანაშაულის გულწრფელი აღიარებაც.

ამასთან, რესპუბლიკის სპორტკავშირმა დააკმაყოფილა წყალბურთის რესპუბლიკური ფედერაციის შუამდგომლობა და თბილისის „დინამოს" წყალბურთელებს — გ. ჩიქვანაიას, ლ. გოგოლაძეს, ვ. რომანოვს შეუფერებელი საქციელის გამო მოუხსნა სპორტის ოსტატის წოდება, მისცა პირობითი დისკვალიფიკაცია 3 წლით, რათა ამ ხნის განმავლობაში მათ თავიანთი დანაშაული გამოისყიდონ საზოგადოებრიობის წინაშე.

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები გუნდის მწვრთნელს, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულ ოსტატს და საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ნ. გვახარიას გუნდში აღმზრდელობითი მუშაობის მოდუნებისათვის გამოეცხადა საყვედური.

# კვლავაც მოწინავეთა რიგებში ვიქნებით

მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ფიზიკური კულტურის დანერგვა და განვითარება, ფიზკულტურელთა რიგებში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმა.

სპორტული მოძრაობის მასობრიობისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ცნობილი დადგენილების განსახორციელებლად ბევრი რამ გააკეთეს ზუგდიდის რაიონის სპორტულმა საზოგადოებებმა და ორგანიზაციებმა.

რაიონის სისხლსავსე ფიზკულტურულ ცხოვრებაზე მეტყველებს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების შვიდწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულება ხუთ წელიწადში. ამ პერიოდში მომზადდა 6 სპორტის ოსტატი, 87 პირველი, 641 მეორე, 3713 მესამე და 1976 მოზარდთა თანრიგოსანი, 2139 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი და 1637 მსაჯი, 9175 მშთ და 2495 იმშთ ნიშნოსანი.

ორსანტიისა და რუხის კოლმეურნე ახალგაზრდების ინიციატივით საზოგადოებრივ საწყისებზე მოეწყო სპორტული ბაზები. გაკეთდა კალათბურთის, ფრენბურთის, ფეხბურთის მოედნები. სპორტული ბაზები მარტო სოფლის ცენტრში როდი ეწყობა. ახალგაზრდებმა ვალდებულება აიღეს მარტივი ტიპის სპორტული ბაზები შექმნან ყველა საველე ბრიგადაში, ფერმაში. რუხის კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის (მდივანი ვ. სხულუხია) თაოსნობით უკვე მოაწყეს მარტივი ტიპის სპორტული მოედნები პირველ, მეორე და მეხუთე ბრიგადებში.

ორსანტიელი და რუხელი ახალგაზრდობის ინიციატივამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებს შორის.

ხეცერის, ინგირის ჩაის და ხეთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობების, ჭკადუაშის კომუნისტური შრომის, ინგირის, კორცხელის, კახათისა და სხვა კოლმეურნეობების გოგონებმა და ჭაბუკებმა ასევე მოაწყეს სპორტული მოედნები, სადაც ნაყოფიერი შრომის შემდეგ შეჯიბრებებს მართავენ.

რაიონის სპორტული მაჩვენებლები უკეთესი იქნებოდა, რომ ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, წარმოებასა და დაწესებულებაში სათანადო ყურადღება ექცეოდეს მშრომელთა ფართო მასების, ახალგაზრდების ფიზკულტურულ მოძრაობაში ჩაბმას.

ნაკლებად იზრდება სექციების, ფიზკულტურელთა რიგები. ნაკლებად ვაბამთ სპორტში ქალებს. სუსტია მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა უფროსი ასაკის პირთა შორის, საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვა მეჩაიე ქალებთან და სხვ.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და წარმოება-დაწესებულებების მონაწილეობით რაიონში უნდა შეიქმნას ზონალური სპორტული ბაზები. სოფელ კახათში კოლმეურნეობის სახსრებით გაშენდება სტადიონ-იპოდრომი ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, ჩოგბურთის მოედნებით, მძლეოსნური სექტორებით. სარბენი ბილიკითა და საჭიდაო სარბიელით. რუხის კოლმეურნეობა „საქართველო", მოაწყობს სტადიონ-იპოდრომს ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთისა და ხელბურთის მოედნებით, მძლეოსნური სექტორებით. ინგირის კოლმეურნეობა აშენებს მარტივი ტიპის სპორტულ მოედანს და საჭიდაო დარბაზ-პავილიონს.

სპორტული მოედნები და კომპლექსური სტადიონები მოეწყობა სოფლებში — ორჯონიკიძეში, ჩხორიაში, კორცხელში, ცაიშში, ხეთაში, საჭიჯაოსა და შუა ხორგაში, ხოლო დაბა ხობში შეკეთდება და საექსპლოატაციოდ გადაეცემა კომპლექსური სტადიონი და საცურაო აუზი.

ზუგდიდის რაიონის ახალგაზრდობა, რომელიც კეთილმოწყობილ სტადიონებსა და სხვა სპორტულ ბაზებს მიიღებს, კიდევ უფრო გააუმჯობესებს მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობას და მომავალშიც იქნება მოწინავეთა რიგებში.

**ი. ჩიქავა,**
საქართველოს კპ ზუგდიდის სასოფლო-საწარმოო პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე.



## თასი — ფოთელებს

სახვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი სათანადო ყურადღებას უთმობს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას. ფიზკულტურის დარგობრივი ბიურო (ფიზკულტურის ინსტრუქტორი ბ. კაკაშვილი) ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ვაჭრობის მუშაკთა შორის, პერიოდულად ატარებს სპორტულ ღონისძიებებს.

ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებას წარმოადგენდა ცხაკაიას სტადიონზე მოწყობილი პროფკავშირის თასის გათამაშება ფეხბურთში.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ძველი მეტოქეები: ფოთი და ცხაკაია. გაიმარჯვეს ფოთელებმა — 1:0.

**ნ. სოხიაშვილი,**
**გათამაშების მთავარი მსაჯი.**
**მ. კოგახიძე**

ახლახანს თბილისში დამთავრდა სოფლის ცხენოსანთა საკავშირო პირველობა. სურათებზე: მარცხნივ — სსრ კავშირის ჩემპიონი სამჭიდში დ. ხოფერია, რომელმაც ამ შეჯიბრებაზე ერთადერთმა დაამთავრა დადებითი ქულების ბალანსით ასპარეზობა. მარჯვნივ — პირველობის გუნდური ჩემპიონი რსფსრ-ს მხედართა კოლექტივი. ქვევით — ისევე როგორც გასულ წელს, ამ პირველობაზეც მეორე ადგილზე გამოვიდნენ საქართველოს კოლმეურნე სპორტსმენები.
ფოტო ფ. კრიმსკისა.



## ერედველთა გამარჯვება

**ცხინვალი.** აქ ჩატარდა სამხრეთ ოსეთის გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. I ადგილი დაიკავა ზნაურის რაიონის ერედვის საბჭოთა მეურნეობის გუნდმა. წონით კატეგორიებში გაიმარჯვეს: ტ. ქრისტესიაშვილმა, ქ. ბესტაევმა, ხასიევმა, ბეკოევმა, საბანოევმა, ქრისტესიაშვილმა, გასიევმა და ბესტაევმა.

**შ. ბუზალაძე**



## ახალი ამბები

● **ჰავანა.** 24 აგვისტოს აქ იწყება ხ. კაპაბლანკას ხსოვნის დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. მასში ითამაშებენ ევროპისა და ამერიკის 16 ქვეყნის გამოჩენილი მოჭადრაკეები: დიდოსტატები სმისლოვი, ტაიმანოვი (სსრ კავშირი), შტალბერგი (შვეცია), ევანსი (აშშ), უდოვჩიჩი (იუგოსლავია), ულმანი (გდრ), პახმანი (ჩეხოსლოვაკია), რაბარი (ავსტრია), პორტიში (უნგრეთი), ოკელი (ბელგია), დონერი (ჰოლანდია) და სხვები.

● **ვრნიაჩკა-ბანია** (იუგოსლავია). ოსტატი სმედერევაცი (დიდოსტატ. ივკოვის მწვრთნელი), ოთხი ოსტატობის კანდიდატი და 12 მოჭადრაკე ქალი მონაწილეობდა სავარჯიშო საჭადრაკო ტურნირში. VI ადგილზე გამოვიდა პრეტენდენტთა მომავალი ტურნირის მონაწილე, საერთაშორისო ოსტატი კატერინა იოვანოვიჩი.

● **კარაკასი.** ვენესუელის სპორტსმენთა ოთხეულმა (ხ. ესტევესი, ა. ერერა, ლ. მურადი, რ. რომერო-სანდრეა) დაამყარა სამხრეთ ამერიკის ახალი რეკორდი 4×100 მ ამანათრბენში — 39,8. აღსანიშნავია, რომ რომის XVII ოლიმპიურ თამაშებზე მძლეოსნობის ამ სახეობაში ვენესუელის გუნდმა დაიკავა მე-5 ადგილი შედეგით — 40,3.

# ჩვენი ფოსტა

რედაქცია ყოველდღიურად ათობით წერილს იღებს რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან. ავტორები გვატყობინებენ ღონისძიებებზე, მოწინავე კოლექტივებსა და სპორტსმენებზე, არ ივიწყებენ მუშაობაში ხელშემშლელ პირობებსაც, აკრიტიკებენ ცუდად ორგანიზებულ შეჯიბრებებს, უპატრონო ბაზების ხელმძღვანელებს. რედაქცია შეძლებისდაგვარად აქვეყნებს ამ წერილებს, ზოგს შესამოწმებლად და ზომების მისაღებად უგზავნის შესაბამის ხელმძღვანელ ორგანოებს, მოითხოვს მათ მიერ გატარებული ღონისძიებების შეტყობინებას.

ბევრი დროულად ეხმაურება გაზეთში გამოქვეყნებულ, თუ რედაქციის მიერ გადაგზავნილ წერილებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგან უყურადღებოდ ტოვებენ მათ, თავს არ იწუხებენ პასუხის გამოგზავნით, ან უსაფუძვლოდ ცდილობენ წერილში მოყვანილი ფაქტების უარყოფას, ჩქმალავენ თავიანთი ქალაქის, რაიონული სპორტკავშირების, ფიზკულტურული კოლექტივების ნაკლოვანებებს.

15 მაისის შემდგომ განვლილ პერიოდში შესაბამის ორგანოებს შესამოწმებლად და ზომების მისაღებად გადაეგზავნა გამოქვეყნებული ან რედაქციაში შემოსული 48 წერილი. დღემდე კი მხოლოდ 13 წერილზე გაგვცეს პასუხი (თბილისის სპორტის სასახლიდან, გეგეჭკორის სპორტკავშირიდან, ორჯონიკიძის სპორტკავშირიდან, ველოსპორტის რესპუბლიკური ფედერაციიდან, წყალტუბოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტიდან, ტყიბულის სამრეწველო-საწარმოო ზონის პარტიული კომიტეტიდან და სხვ.) მაგრამ ეს ხომ წვეთია ზღვაში?!

საინტერესოა, რად დუმან მძლეოსნობის რესპუბლიკური ფედერაცია (წერილზე „სად იყვნენ უძლიერესნი". დაიბეჭდა 21 მაისს), თბილისის აეროპორტის ფიზკულტურული საბჭო (წერილზე „დაკარგული ტრადიცია", დაიბეჭდა 21 მაისს), თბილისის საქალაქო სპორტკავშირი („სამიზნეები" მშვიდობიანად „მიფრინავდნენ", დაიბეჭდა 24 მაისს და „სად იყვნენ ხელმძღვანელები?" 20 ივნისს), ჩოხატაურის სასოფლო-საწარმოო პარტიული კომიტეტი („სავალალო ფაქტები", 3 ივნისი), წყალტუბოს რაიონის სპორტკავშირი („ბურთები და ქაღალდები", 10 ივნისი), სამტრედიის სასოფლო-საწარმოო პარტიული კომიტეტი („შეამცირეს კარგი მუშაობისთვის", 2 ივნისი), ბათუმის საქალაქო სპორტკავშირი („მეტი ყურადღება ბავშვთა ფეხბურთს", 3 ივნისი), თელავის სამრეწველო-საწარმოო ზონის პარტიული კომიტეტი (წერილების სერია 9, 11, 17 ივნისი) და სხვები? ხელმძღვანელ ორგანოებს რედაქცია წერილებს განა იმიტომ უგზავნის, რომ მაუდქვეშ ამოდონ, ზომები არ მიიღონ და არ იზრუნონ შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებისთვის!

ზოგჯერ ზემდგომი ორგანოები არასწორ ინფორმაციას აწვდიან რედაქციას, ცდილობენ თავის მართლებას. ჩვენი გაზეთის 25 ივლისის ნომერში დაიბეჭდა მამხილებელი წერილი „ვაი, ამ ყოფას!" წერილში ლაპარაკი იყო ქუთაისის იმ კალათბურთის მოედნის შესახებ, რომელიც პარტიისა და კომკავშირის საქალაქო კომიტეტებისა და აღმასკომის შენობასთან მდებარეობს. ქუთაისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტიდან გვწერენ: „ბაზა, თუ მას ასე შეიძლება ეწოდოს, შექმნის დღიდან არ იყო ნორმალური (მაშ რისთვის შექმნეს — რედ). მოასფალტებული ადგილი ზოგან ამობურცულია, ერთი ფარის ქვეშ პატარა არხი გადიოდა, მოედანზეა მრავალწლიანი ხეები"... ერთი სიტყვით, იგი შეიძლება მართლაც არ იყოს სრულყოფილი მოედანი, მაგრამ მარტივი ტიპის მოედანიც ხომ მოედანია და მას მოვლა-პატრონობა ჭირდება.

ჩვენი გაზეთის 6 ივნისის ნომერში დაიბეჭდა წერილი „ერთი შეჯიბრების პროლოგი და ეპილოგი", რომელიც ეხებოდა თბილისის სპორტკავშირის თასის გათამაშებას ცურვაში. აღნიშნული საკითხი განიხილა ქალაქის სპორტკავშირის პრეზიდიუმმა. სხდომაზე ზოგიერთი ამხანაგი შეეცადა გაეყალბებინა კორესპონდენცია. მართალია, ავტორს რედაქციისთვის ზოგი რამ შეცდომით მოუწოდებია, კერძოდ, შეჯიბრების დაგვიანების, წამმზომების შეუმოწმებლობის, თასის და სხვა ამბები, რომლებშიც ქალაქის სპორტკავშირი არ იყო დამნაშავე, მაგრამ ისიც დადასტურდა, რომ წერილში მოყვანილი ფაქტების დიდი ნაწილი სინამდვილეს შეესაბამება. წერილის ავტორს ზოგიერთი უზუსტობისთვის რედაქციამ მიუთითა.

ვხვდებით ისეთ ფაქტებსაც, როცა ზოგიერთი პასუხისმგებელი ამხანაგი პრესის წარმომადგენლებს აწვდის არასწორ, საფუძველს მოკლებულ, საკუთარი ქალაქის, რაიონის, გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე ცნობებს. ასე მოიქცნენ წყალტუბოს სპორტკავშირის თავმჯდომარე შ. კინწურაშვილი და მოსწავლე ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი ვ. სულაკაძე, რამაც გამოიწვია 17 ივნისის ნომერში „ზუგდიდელი ვუნდერკინდის" დაბეჭდვა. რედაქციის შეცდომაში შეყვანისთვის ჩვენს სპეც. კორესპონდენტს დაედო ადმინისტრაციული სასჯელი, მაგრამ ისიც ხომ ცხადია რომ წყალტუბოელებმა ჩაიდინეს ფიზკულტურის ხელმძღვანელი მუშაკებისთვის შეუფერებელი საქციელი?

ჩვენი გაზეთის 13 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული წერილი „მსაჯი აქეზებს ხულიგნებს", რომლის ავტორები არიან ს. ყუფუნია და ზ. მაჩიტაძე, შეეხებოდა ქუთაისში გამართულ რესპუბლიკის მოსწავლე ფეხბურთელთა ფინალურ მატჩზე (თამაშობდნენ თბილისი—ქუთაისი) მომხდარ ინციდენტს. როგორც შემდგომ სათანადო ძიებით დადასტურდა, ხულიგნობის ფაქტს, მსაჯის შეურაცხყოფას, სტადიონზე ქვებისა და ჯოხების სროლას მართლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ამაში არავითარი ბრალი არ მიუძღოდა ქუთაისელ მწვრთნელს დ. ჩირაძეს. მისი ერთადერთ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ის, რომ სტადიონის დირექციას დახმარება არ აღმოუჩინა დამნაშავეთა დაკავებაში.

რედაქციამ წერილის ავტორებს აუკრძალა ჩვენს გაზეთში თანამშრომლობა.

# როცა ტურნირი დამთავრდა

ახლახანს მოსკოვში დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირში 11 ქვეყნის 70-მდე ჩოგბურთელი მონაწილეობდა, აქედან საქართველოდან იყვნენ ა. მეტრეველი, ნ. მძინარიშვილი, ვ. პერეგუდოვი, თ. კაკულია, ი. ერმოლოვა და ა. ივანოვა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მეტრეველმა არ უღალატა თავის ტრადიციას და ტურნირი ძლიერად ჩაატარა. მართალია, იგი (ისევე, როგორც ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი თ. ლეიუსი) ვერ მოხვდა ვაჟთა ერთეულების ფინალში, მაგრამ ეს მარცხად არ შეიძლება ჩაითვალოს. ნახევარფინალამდე რამდენიმე საუცხოოდ ჩატარებული ბრძოლით თბილისელმა ჭაბუკმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ მას საბჭოთა ჩოგბურთელების კოჰორტაში დამაჯერებლად უკავია ერთ-ერთი ლიდერის პოზიცია. ისიც უნდა ითქვას, რომ მან ბევრი მღელვარება გადაგვატანინა პირველსავე შეხვედრაში (უკრაინელ ვ. ბურკოსთან). მართალია, მან ანგარიშით 6:4, 3:6, 5:7, 6:2, 8:6 დაამარცხა ჩვენი ქვეყნის 21-ე ჩოგბურთელი, მაგრამ იგი „ბოროტად“ იყენებდა მოკლე დარტყმას და ამან იგი კინაღამ ფათერაკს შეჰყარა. ნაწილობრივ ეს იმითაც შეიძლება ავხსნათ, რომ საფრანგეთში გამართული ტურნირიდან (გალეას თასი) ჩამოსული, იგი მაშინვე ჩოგბურთელთა მოსკოვის საერთაშორისო „მეჯლისზე“ აღმოჩნდა. ჩვენმა თანამემამულემ მეორე შეხვედრა ჩაატარა ი. იუხველტთან (სსრ კავშირი). აქ მას მხოლოდ მეორე პარტიაში ჰქონდა დაძაბული ბრძოლა და საბოლოოდ შეხვედრა იოლად მოიგო — 6:2, 10:8, 6:3. ასევე „მსუბუქად“ გაიმარჯვა მეტრეველმა უ. ტრეტინთან (გდრ) — 6:3, 6:4, 8:6. და აი, იგი მეოთხედფინალში შეხვდა მოსკოველ გ. ეგოროვს. თბილისში ათი თვის წინათ გამართულ „დინამოს“ საკავშირო პირად-გუნდურ პირველობაზე ამ ორთა მატჩი ძალიან მწვავედ წარიმართა. მაშინ მეტრეველმა სამსაათნახევრიან მძიმე ბრძოლაში ძლია მეტოქეს. ამჯერად თბილისელს ამოდენა „რეგლამენტი“ არ დასჭირვებია და მოსკოველს სწრაფად დააყრევინა „ფარხმალი“ (13:11, 6:4, 6:4). აქ მხოლოდ პირველ პარტიაზე დაიხარჯა დიდი დრო, მაგრამ შემდგომ აშკარად გამოიკვეთა მეტრეველის ტექნიკურ-ტაქტიკური და ფიზიკური უპირატესობა. აღსანიშნავია ისიც, რომ პირველ პარტიაში ეგოროვი ძალზე ახლოს იყო გამარჯვებასთან (5:2). სწორედ ამ მძიმე წუთებში გამოიჩინა დაჟინებული მიზანსწრაფვა, დიდი ნებისყოფა და მედგარი მებრძოლის შეუდარებელი თვისებები ქართველმა სპორტსმენმა და ყოველივე თავის სასარგებლოდ შემოაბრუნა — 13:11.

მაგრამ ამ საბრძოლო თვისებებიდან თბილისელს არაფერი დარჩა იუგოსლაველ ნ. პილიჩთან (იგი მსოფლიოს ჩოგბურთელთა პირველ ათეულში შედის) ნახევარფინალურ მატჩში. ამჯერად მეტრეველი კორტზე ისე მოქმედებდა, რომ ხანდახან იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ბრძოლა არ სურდა. იგი სრულიად არ იყენებდა მისთვის დამახასიათებელ (შეიძლება ითქვას მეტრეველისეულს) მკვეთრ და ძლიერ პირველ დარტყმას.

მიუხედავად პილიჩთან წაგებისა, მეტრეველი ამ ტურნირში საბჭოთა სპორტსმენ ვაჟთაგან საუკეთესო იყო.

ვაჟთა წყვილების შეჯიბრებაში მეტრეველი თავის თანამემამულე მძინარიშვილთან ერთად გამოდიოდა. ხოხლოვ-მინაიჩევის დუეტის დამარცხების შემდეგ (6:0, 6:2, 7:5), ისინი თავიანთ ძველ მეტოქეებს — შ. კოუდელკასა და ა. კოდეშს (ჩეხოსლოვაკია) შეხვდნენ. ეს შეხვედრა ქართულმა „ტანდემმა“ საათის მექანიზმივითააწყო და „ოქრომჭედლური“ სიზუსტით იგი საპატიო გამარჯვებამდე მიიყვანა — 6:3, 6:4, 1:6, 8:6. მაგრამ შემდგომი ბრძოლა ჩინელებთან (პენ ჩჟი-იუანი და გაო ხუან-მუ) ჩვენების მარცხით დამთავრდა — 3:6, 4:6, 2:6. თბილისელთა მეორე წყვილი კი (კაკულია-პერეგუდოვი) პირველსავე დაძაბულ შეხვედრაში დამარცხდა გერმანელ სპორტსმენებთან — ტრეტინთან და ლიუტროპთან — 7:9, 1:6, 13:15. აქ ვერაფერს იტყვი. საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობით ჩვენი ეს წყვილი განებივრებული არ არის. მათ ყველაფერი გააკეთეს, რათა მატჩი უბრძოლველად არ დაეთმოთ და ეს ანგარიშიდანაც ნათლად ჩანს.

ჩვენმა დანარჩენმა ვაჟებმა ერთეულთა თანრიგში მაინცდამაინც არაფრით გაგვახარეს. თუმცა აღსანიშნავია მძინარიშვილი, რომელმაც თავდაპირველად იოლად მოუგო ინდოელ სუბრამანიანს — 6:1, 6:1, 7:5. მეორე ეტაპზე კი მან მსოფლიოს საუკეთესო ათეულში შემავალ სპორტსმენთან — ბ. იოვანოვიჩთან (იუგოსლავია) წააგო მძიმე ბრძოლა (2:6, 6:8, 5:7). ამ შეხვედრაში ქართველი სპორტსმენი არ შეუშინდა სახელოვან სპორტსმენს და თავგამოდებით იბრძოდა ყოველი გეიმისთვის, მაგრამ... მეტოქის მაღალმა ოსტატობამ თავისი გაიტანა. პერეგუდოვმაც პირველი შეხვედრა თავისი გამარჯვებით დაამთავრა (ალჟირელ ჰ. მედადთან — 6:4, 6:1, 6:1), ხოლო მეორე წააგო (ესტონელ თ. ლეიუსთან — 3:6, 1:6, 4:6). კაკულიამ კი პირველივე შეხვედრა საკმაოდ ძლიერ ჩინელ სპორტსმენ ჩჟუ ჩჟენ-ხუასთან დათმო — 1:6, 3:6, 1:6.

და მაინც, მეტრეველმა როსტოველ ვ. ტროშკინასთან ერთად ერთი პირველი ადგილი იგდო ხელთ (შერეულ წყვილთა შეჯიბრებაში). მათ ყველა შეხვედრა ბრწყინვალედ ჩაატარეს. ამაზე მკაფიოდ მეტყველებს მათი გამარჯვება ფინალში ჩვენი ქვეყნის საუკეთესო წყვილთან—მოსკოველ ა. დმიტრიევასა და ბაქოელ ს. ლიხაჩოვთან შეხვედრაში — 1:6, 6:2, 6:4.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი გარემოება: საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელებმა რატომღაც წესად შემოიღეს შერეულ წყვილთა დაკომპლექტება სხვადასხვა ქალაქების სპორტსმენებით. ამის შედეგად იყო ის, რომ მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ერმოლოვა (თბილისი)-ეგოროვი (მოსკოვი) — ტროშკინა (როსტოვი)-მეტრეველი (თბილისი) — 6:3, 2:6, 1:6. ჩვენი აზრით, ამგვარი ღონისძიება ხელს უშლის რესპუბლიკებს შეათამაშონ, ერთმანეთს „შეაჩვიონ“ შერეული წყვილები. ამიტომაა, რომ ხალხთა სპარტაკიადებზე ჩვენ ... მოუმზადებელი შერეული წყვილები გამოგვყავს ხოლმე. ... საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის ... საკავშირო ფედერაციას გავაცანით. იმედია, რომ შემდგომში მსგავსი ფაქტები აღარ განმეორდება.

არ გაგვიმართლა იმედი ერმოლოვამ, რომელმაც თავდაპირველად კარგ სტილში დაამარცხა მოსკოველი ლ. პრეობრაჟენსკაია — 6:2, 6:2, ხოლო შემდგომ ეტაპზე ჩინელი ჩი ფონ-დის კარგად ორგანიზებულ დაცვასთან ვერაფერი გააწყო და წააგო — 3:6, 3:6. ერმოლოვა ამ შეხვედრაში რატომღაც არ იყენებდა თავის ძლიერ გრძელ დარტყმებს მარჯვნიდან. შეიძლება ამანაც განაპირობა მისი მარცხი. მეორე თბილისელი — ივანოვა ერთეულთა ბრძოლას თავიდანვე გამოეთიშა.

**ვ. კანდელაკი,**
**საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**

* * *



**სურათზე:** შერეულ წყვილთა შეჯიბრებაში გამარჯვებული ვ. ტროშკინა (მარცხნივ) და ა. მეტრეველი.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

### I ჯგუფი

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 22 აგვისტოსთვის

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 19 | 10 | 7 | 2 | 34—11=+23 | 27 |
| ცსკა | 20 | 10 | 6 | 4 | 32—14=+18 | 26 |
| „დინამო“ (თბილისი) | 20 | 10 | 6 | 4 | 24—17=+ 7 | 26 |
| „დინამო“ (კიევი) | 19 | 8 | 8 | 3 | 29—17=+12 | 24 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 20 | 9 | 6 | 5 | 25—15=+10 | 24 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 20 | 8 | 8 | 4 | 23—15=+ 8 | 24 |
| სკა (როსტოვი) | 19 | 9 | 4 | 6 | 28—17=+11 | 22 |
| „დინამო“ (მინსკი) | 20 | 4 | 12 | 4 | 8—9 =— 1 | 20 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 18 | 6 | 7 | 5 | 18—13=+ 5 | 19 |
| „ვოლგა“ (გორკი) | 21 | 5 | 7 | 9 | 11—27=—16 | 17 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 20 | 5 | 6 | 9 | 15—21=— 6 | 16 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 20 | 5 | 6 | 9 | 17—25=— 8 | 16 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 19 | 4 | 8 | 7 | 10—21=—11 | 16 |
| „შინიკი“ (იაროსლავლი) | 20 | 4 | 8 | 8 | 14—29=—15 | 16 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 21 | 5 | 5 | 11 | 9—28=—19 | 15 |
| „კაირატი“ (ალმა-ატა) | 19 | 4 | 6 | 9 | 15—21=— 6 | 14 |
| „მოლდოვა“ (კიშინიოვი) | 19 | 4 | 4 | 11 | 10—22=—12 | 12 |

20 აგვისტოს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და დონეცკის „შახტიორი“. საინტერესო მატჩი მოიგეს დინამოელებმა ანგარიშით 2:0.

გუშინ მოსკოვის „სპარტაკმა“ მიიღო ბაქოს „ნეფტიანიკი“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

### დუბლიორთა მატჩი

გუშინ თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე გაიმართა მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის მეორე ჯგუფის II ქვეჯგუფის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „ლოკომოტივისა“ და ლვოვის „კარპატის“ დუბლშემადგენლობანი.

მატჩი დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით — 1:0.

## ფრე მინსკის სტადიონზე

**მინსკი. „დინამოს“ რესპუბლიკური სტადიონი. 21 აგვისტო.**

**„დინამო“ (მინსკი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 0:0.**

**„დინამო“:** დენისენკო, რიომინი, ზარემბო, უსატორე, სავოსტიკოვი, კონოვალოვი (არზამასცევი), მოზერი, ადამოვი, მუსტიგინი, მალაფეევი, პოგალნიკოვი.

**„ტორპედო“:** ურუშაძე, ლოსაბერიძე, წივწივაძე, სიამაშვილი, ოდიკაძე, კუტივაძე (სარჯველაძე), ნიშნიანიძე, ხაჟალია, ჩხარტიშვილი, ისიანი, დუნდუა.

**მსაჯი ა. ტაბაკოვი (მოსკოვი).**

თამაში დაიწყო ცოცხლად, სწრაფ ტემპში და მინსკელმა მაყურებლებმაც ის-ის იყო ირწმუნეს, რომ ამ მატჩში მაინც დაირღვეოდა უშედეგობის სამწუხარო ტრადიცია, მაგრამ სულ მალე ყველაფერი ისევ ნაცნობ კალაპოტში ჩადგა: მასპინძლების თითქოსდა დაჟინებული იერიშები ქაოტურ ხასიათს ატარებდა. მინსკელთა ოდესღაც აგრესიული და შედეგიანი თავდამსხმელები განსაკუთრებით სცოდავდნენ შეტევის დამამთავრებელ ფაზაში. ბურთი ჯიუტად ცდებოდა კარს და საკმაო მანძილითაც.

რაც შეეხება ქუთაისელებს, ისინი, პირველყოვლისა, ზრუნავდნენ თავიანთი კარის უსაფრთხოებაზე და მეტად ზუსტად, ბეჯითად თამაშობდნენ დაცვაში. დამცველთა მონდომებამ და მეკარე ურუშაძის დამაჯერებელმა მოქმედებამ მალე გააქარწყლა დინამოელთა ვარაუდი უეცარ წარმატებაზე და ბურთმა თანდათანობით გადაინაცვლა მოედნის შუაგულისაკენ.

შეხვედრის პირველ ნახევარში შესამჩნევი იყო მასპინძლების გარკვეული ტერიტორიული უპირატესობა, თუმცა ეს გარემოება არ გამოხატულა არც ერთ საგოლო მომენტში. პირიქით, ასეთი მომენტი, და მეტად რეალურიც ჰქონდათ ქუთაისელებს, მაგრამ მეკარე დენისენკომ სწრაფი ნახტომით შეძლო გოლისაგან გადაერჩინა თავისი გუნდი.

მეორე ტაიმი მიმდინარეობდა გარდამავალი უპირატესობით, მაგრამ, სამწუხაროდ, ფორვარდებიც და ნახევარმცველებიც ხშირად უშვებდნენ ტექნიკურ წუნს გადაცემებისას და კარში დარტყმის დროს.

საბოლოოდ, კვლავ „ქრონიკული“ ფრე — 0:0.

## ოლიმპიური სპრინტი და პროგნოზები

TOKYO 1964

სატრეკო ველოსპორტის სხვადასხვა სახეობაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი სპრინტს უკავია. იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, რბოლის ყველაზე უფრო „არისტოკრატიული“ სახეობაა. მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი სპრინტერულ რბოლაში ჩატარდა 1891 წელს შეერთებულ შტატებში. ამ დროს ამერიკელი ველოსიპედისტები უძლიერესნი იყვნენ მსოფლიოში და აქ სპრინტიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

მოგვიანებით მსოფლიო სპრინტში გაბატონდნენ ჰოლანდიელები და ფრანგები. უკანასკნელი 10-15 წლის მანძილზე კი ჰეგემონია ხელთ იგდეს იტალიელმა ველოსიპედისტებმა. საკმარისია გავიხსენოთ, რომ 4 უკანასკნელი ოლიმპიური თამაშებიდან იტალიელებმა სამი მოიგეს. ამ დიდ წარმატებას მიაღწიეს მ. ჯელამ, ე. საკიმ და ს. გაიარდონიმ, მხოლოდ მელბურნის თამაშებში დათმეს იტალიელებმა თავიანთი პოზიციები და პირველობა ფრანგ მ. რუსოს ჩააბარეს და მაინც ეჭვს გარეშეა, რომ ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედლის მთავარი პრეტენდენტები იტალიელი ველოსიპედისტები იქნებიან.

ეს პირველ რიგში ითქმის 25 წლის ს. ბიანკეტოზე, რომელმაც 1960 წელს მოიპოვა ოლიმპიური, ხოლო 1961-62 წლებში—მსოფლიო ჩემპიონის წოდება. კარგი შანსები აქვთ ხმელთაშუაზღვის თამაშების ჩემპიონს ა. დამიანოსაც და ახალგაზრდა ველოსიპედისტებს ჯ. პეტენელასა და ვ. ტულინის. ამჟამად იტალიის გუნდში ემზადებიან ღ. გონცატო და ქ. კასტელო. მაგრამ, როგორც ცნობილია, ტოკიოში მხოლოდ სამი სპორტსმენი გაემგზავრება. და მათ ვინაობას საბოლოოდ დაადგენენ პარიზის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ.

1963 წელს ს. ბიანკეტომ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოულოდნელად ბელგიელ პ. სერკუსს დაუთმო. ახალგაზრდა ველოსიპედისტმა ერთ სეზონში განსაცვიფრებელ წარმატებებს მიაღწია და იგი ტოკიოს ოქროს მედლის მთავარი პრეტენდენტი გახდა. მაგრამ არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ოლიმპიურ თამაშებზე პირველი ადგილის ბედს იტალიელებისა და ბელგიელის ბრძოლა გადაწყვეტს. ამ საინტერესო პაექრობაში კორექტივებს ფრანგებიც შეიტანენ, პირველ რიგში კი პ. ტრენტინი და დ. მორელონი. 20 წლის პ. ტრენტინმა უკანასკნელ მსოფლიო პირველობაზე მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა, ხოლო ივლისის ბოლო რიცხვებში პარიზში მან მოიგო „გრან-პრი“ და დაამარცხა როგორც ს. ბიანკეტო, ისე პ. სერკუ. მსოფლიოს უძლიერეს სპრინტერთა შორის წამყვანი ადგილი უჭირავთ აგრეთვე ავსტრალიელ რ. ბეინს და ჰოლანდიელ პ. ვან დერ ტოუს. რომში ბეინი მეოთხე იყო გაიარდონის, სტერკსისა და გასპარელას შემდეგ. მაგრამ ეს სამეული ამჟამად პროფესიონალებში გადავიდა და ტოკიოში იგი არ ჩამოვა. რაც შეეხება სხვა ქვეყნის სპრინტერებს, მათ გამარჯვების ძალზე დაბალი შანსები აქვთ. თუ მხედველობაში არ მივიღებთ საბჭოთა ველოსიპედისტებს და პირველ რიგში ო. ფხაკაძეს. თუ რამდენად მართებულია ჩვენი აზრი ამას ტოკიოს ოლიმპიური თამაშები გვიჩვენებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იაპონელები სიურპრიზს ამზადებენ

TOKYO 1964

ტანვარჯიში ისეთივე ძველი ოლიმპიური სახეობაა, როგორც მძლეოსნობა. თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებმა იგი უყოყმანოდ შეიტანეს ათენის პირველივე ასპარეზობის პროგრამაში 1896 წელს და მას შემდეგ ტანვარჯიში ოლიმპიადების ერთ-ერთი ცენტრალური მოვლენაა. პირველ შეჯიბრებებში გამარჯვებულნი, როგორც წესი, გამოდიოდნენ შვეიცარელები და გერმანელები, შემდეგ — ამერიკელები, ფრანგები, ჩეხები, შვედები.

ტანმოვარჯიშეები ყოველ ახალ ოლიმპიურ თამაშებზე გამოდიოდნენ განახლებული, გაძნელებული პროგრამით და ახლა რომ ვინმემ შეადაროს პირველი ოლიმპიადების გამარჯვებულთა ვარჯიშები თანამედროვე ურთულეს კომბინაციებს, მაშინდელი ჩემპიონები დამწყებ შეგირდებადაც არ გამოადგებოდათ დღევანდელ ოსტატებს. პროგრესი წარმოუდგენლად დიდია.

განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ეს პროგრესი ჰელსინკის XV ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც პირველად გამოვიდნენ საბჭოთა ტანმოვარჯიშეები. მათი დებიუტი ნამდვილ რევოლუციას ჰგავდა ამ სახეობაში. ვ. ჩუკარინის მიერ შესრულებული ვარჯიშები საყოველთაო აღტაცებას და განცვიფრებას იწვევდა.

ეს ჰეგემონია საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა მთლიანად შეინარჩუნეს მელბურნშიც, XVI ოლიმპიადაზე, მაგრამ უკვე მაშინ შესაჩნევი იყო გარკვეული კონკურენცია იაპონიის სპორტსმენთა მხრივ. მათი დაჟინებული მეტოქეობა იგრძნობოდა ყოველ იარაღზე, ყოველ გამოსვლაში. საბჭოთა სპორტსმენებს უპირატესობის მოპოვება უხდებოდათ უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში, რაც გამოიხატებოდა სულ მცირე „დოზებში" — ქულების მეასედებში.

იაპონელები ჭკვიანურად მოიქცნენ. მათ ჰყავდათ საუცხოო მონაცემების მქონე ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეები, მაგრამ არ გააჩნდათ საკუთარი სკოლა, ტრადიციები, ამიტომ აქაური ფედერაციის ხელმძღვანელობა და მწვრთნელები წავიდნენ უფრო სწორი და პირდაპირი გზით: მომავლის საფუძვლად მათ აიღეს საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა ოსტატობა, რომელსაც შემდგომში მოდერნიზაცია უნდა განეცადა იაპონელთა სპეციფიკის გათვალისწინებით.

იაპონელები არც მალავდნენ საკუთარ ზრახვებს და, რაც მთავარია — მოწაფეობას. შეჯიბრებიდან შეჯიბრებაზე, ქალაქიდან ქალაქში დაჰყვებოდნენ ისინი თავიანთ მთავარ მოწინააღმდეგეებს და მასწავლებლებს, დასდევდნენ კინოაპარატებითა და ბლოკნოტებით ხელში, იღებდნენ, იწერდნენ, აკვირდებოდნენ, კომენტარებს უკეთებდნენ.

მორიგ მსოფლიო ჩემპიონატზე მოსკოვში გამოირკვა, რომ საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა ლიდერს ბ. შახლინს უკვე სერიოზული კონკურენტი ჰყავდა ტაკასი ონოს სახით, ხოლო რომის ოლიმპიურ თამაშებზე მათი ბრძოლა დამთავრდა იმით, რომ ბ. შახლინმა ტ. ონოს საერთო პირველი ადგილი მოუგო სულ რაღაც 0,05 ქულით. მაგრამ ეს მოხდა ინდივიდუალურ ბრძოლაში, რაც შეეხება გუნდურ პირველობას ვაჟთა შორის, აქ უძლიერესნი აღმოჩნდნენ იაპონელები. აი, მათი ბეჯითი მოწაფეობის შედეგი! ამბობენ, როცა ახალგაზრდა იაპონელი შედის ტანვარჯიშულ კლუბში, იგი ფიცსა სდებს მიაღწიოს უმაღლეს კლასს. საქმე ფანატიზმამდეა აყვანილი.

ვფიქრობთ, ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ როგორი ენთუზიაზმით ემზადებიან იაპონელი ტანმოვარჯიშეები XVIII ოლიმპიადისათვის, რომლის მასპინძლები თვითონ არიან. მათი მთავარი მწვრთნელი ტ. სასანო დაუფარავად ამბობს: „გამარჯვება საბჭოთა გუნდზე ყოველთვის წარმოადგენდა ჩვენს ძირითად ამოცანას და ჩვენ შეუსვენებლად ვვარჯიშობთ, რომ პირველი ადგილი დავიკავოთ თამაშებზე".

ეს სიტყვებია. საქმე კი იმაში გამოიხატა, რომ იაპონელებმა ახალი, გაზრდილი სიძნელის ვარჯიშები შეიმუშავეს და იმ დარბაზში, სადაც ისინი გადიან წვრთნას, ვერ შევა ვერავინ, თუ მას არა აქვს ოლიმპიური კომიტეტის მიერ გაცემული სპეციალური საშვი. აქაური გაზეთები წერენ, რომ იაპონელები ამზადებენ წარმოუდგენელი სიძნელის, მსოფლიოში ურთულეს კომბინაციებს, რომელსაც სპეციალური სახელიც კი შეერქვა: „ულტრა-სი".

ეს „ულტრა-სი" დიდ ხანს იდუმალებით იყო მოსილი, მაგრამ ამ რამდენიმე ხნის წინ ქ. კოტიში გაიმართა იაპონიის ნაკრები გუნდის ოფიციალური გამოსვლა, სადაც ტანმოვარჯიშეებმა შეასრულეს ჯერ არნახული ვარჯიშები. გაზეთები წერენ, რომ „ულტრა-სი" ადამიანის შესაძლებლობათა ზღვარამდეა მისული.

ცურუმი და ხაიატა, მაგალითად, ასრულებენ ღერძიდან ჩამოხტომს, რომელიც თვითმფრინავის ხრახნისებრ ვარდნას ჰგავს. ხაიატას ჯერ უჭირს ამ ილეთის გაკეთება, მაგრამ ცურუმი უკვე სრულ შეფასებას ღებულობს. ვეტერანი ტ. ონო ღერძზე ასრულებს ურთულესი ელემენტების მთელ ფეიერვერკს, რომელთაგან ერთ-ერთი ასეთია: ტანმოვარჯიშე აღმატრიალში აკეთებს ნახევარბრუნს და ქვავდება ხელყირაში.

პრაღის მსოფლიო ჩემპიონატზე იამასიტამ განაცვიფრა ყველანი ახალი ხტომით, რომელსაც მისი სახელი ეწოდა. ახლა კი იამასიტამ შეიმუშავა ხტომის ახალი ვარიანტი: ბოგა ტაიჭიდან მას დაცილებული აქვს 2 მეტრით. სპორტსმენი ტაიჭის დასაწყისში აკეთებს გადატრიალებას ხელყირაში და მერე ასწრებს ჰორიზონტალურ ხრახნს ძირს დაშვებისას. ეს წარმოუდგენლად ძნელი რამაა.

მიცუკური ტაიჭზე ვარჯიშს ამთავრებს ე. წ. „პროპელერული" ჩამოხტომით. მასვე აქვს ახალი ორიგინალური ელემენტი ორძელზე. თავისუფალ ვარჯიშებში სრულიად ახალი ნაერთები გამოიგონეს მაცუმოტომ, ონომ, მიცუკურიმ.

საინტერესოა, რატომ გამოიტანეს სააშკარაოზე იაპონელებმა თავიანთი ეს „საიდუმლო იარაღი"? ტ. სასანომ კორესპონდენტებს განუცხადა, რომ იმ მცირე ხანში, რაც თამაშებამდეა დარჩენილი, მაინც ვერავინ შეძლებს მათ შესრულებას, გარდა ამისა, მსაჯებმა და სპეციალისტებმა ადრევე უნდა ნახონ ეს ვარჯიშები, რომ შეჯიბრების დროს სწორად მიუდგნენ მათი შეფასების საქმეს, მათს საერთო უჩვეულობას და სიძნელეს. ისინი ისევე მზად უნდა შეხვდნენ ამ სიახლეებს, როგორც თვით მათი შემსრულებლები.

ასე რომ, ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი საინტერესო სანახაობა იქნება იაპონელ ტანმოვარჯიშეთა „ულტრა-სი".

**სურათებზე:** იაპონელთა ერთ-ერთი საუკეთესო ტანმოვარჯიშე ტ. ონო ასრულებს ვარჯიშს ღერძზე.



## დოპინგი და „ანტიდოპინგი"

დასავლეთის ბევრი ქვეყნის სპორტული საზოგადოებრიობა სულ უფრო მკაცრ პროტესტს აცხადებს დოპინგის წინააღმდეგ. საფრანგეთში მიღებულია დოპინგის საწინააღმდეგო სპეციალური კანონი. შვეიცარიაში მიმდინარეობდა ექიმების კონგრესი, რომელმაც იმსჯელა სპორტსმენების მიერ ნარკოტიკულ საშუალებათა მიღების აკრძალვის შესახებ. იტალიის საფეხბურთო კავშირმა დაადგინა: პირველი ლიგის გუნდების ყოველი შეხვედრის შემდეგ ხუთი ფეხბურთელი გაივლის შემოწმებას იმის გასარკვევად, მიიღეს თუ არა მათ დოპინგი და ა. შ.

როგორც ფრანგული გაზეთი „ეკიპი" იუწყება, დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლას გამოუჩნდა უცნაური ფორმაც. იტალიის კლუბების ხელმძღვანელებმა თავისებურად გაიგეს საფეხბურთო კავშირის გადაწყვეტილება. „მათ განაცხადეს,— წერს „ეკიპი",— რომ თავიანთ განკარგულებაში აქვთ სპეციალური აბი — „ანტიდოპინგი", რომელიც მაშინვე სპობს ორგანიზმში ნარკოტიკებს".

## ქორწინება დიდ სიმაღლეზე და წყალქვეშ

დასავლეთში გრძელდება უჩვეულო რეკორდების დამყარება. ამას წინათ ინგლისურმა გაზეთმა „პიპლმა" ასე დაასათაურა თავისი წერილი — „ახლადდაქორწინებულთა ნახტომი". ინგლისელმა პარაშუტისტებმა პატრიცია კრისტიმ და ელვინ ლოუნსბერმა იქორწინეს 1650 მეტრ სიმაღლეზე. ცერემონიალის დამთავრების შემდეგ მათ ხელი ჩაჰკიდეს ერთმანეთს, თვითმფრინავიდან გადმოხტნენ და დედამიწიდან მხოლოდ 650 მეტრზე გახსნეს პარაშუტი. პატარძალს ეცვა თეთრი კომბინიზონი, ხოლო საქმროს — ფრაკის მაგვარი ტანსაცმელი.



სხვა სახის ქორწინება გაიმართა ამ დღეებში ფილადელფიაში (აშშ). წყალქვეშა ცურვის მოყვარული კლოტცი და მოცურავე ესტელ მეილი სკაფანდრებით ჩაეშვნენ წყალქვეშ. ეკლესიის მსახურმა მათ მიმართა წყალქვეშა ტელეფონით, დალოცა და ბედნიერება უსურვა. შემდეგ მომავალმა ცოლ-ქმარმა ერთმანეთს შეახეს ჩაფხუტები, რაც კოცნას ნიშნავდა. ამით ცერემონია დამთავრდა.

## რთული საკითხი

ჰელმსფორდის (ინგლისი) სახელმწიფო საპატიმროს ფეხბურთელთა გუნდი მაღალი შედეგების ჩვენების გამო ჩარიცხულ იქნა ესექსის საგრაფოს რეგიონალურ ლიგაში. მან მონაწილეობა მიიღო ჩემპიონატის მატჩებში. დადებულია ხელშეკრულება, რომ საპატიმროს გუნდი თავის მატჩებს ჩაატარებს მხოლოდ ჰელმსფორდში და არა სხვა ქალაქში. თითქოს ყველაფერი ნათელი იყო. მაგრამ წამოიჭრა გაუთვალისწინებელი პრობლემა. პირველი მატჩების შემდეგ ზოგიერთი კლუბის ხელმძღვანელმა დაიწყო მოლაპარაკება ჰელმსფორდის პატიმართა გუნდის ცენტრალური თავდამსხმელის და რამდენიმე მოთამაშის შესყიდვის შესახებ. არსებული კანონის მიხედვით, კლუბის ადმინისტრაციას ნება არა აქვს არ გაუშვას ფეხბურთელები. მეორეს მხრივ კი, არ შეიძლება გაათავისუფლო განგსტერები და ბანდიტები, რომლებმაც ციხეში არ მოიხადეს სასჯელის ვადა.

## წერილი ე. ერერას

იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ პროტესტის წერილი გაუგზავნა მილანის „ინტერნაციონალეს" მწვრთნელს ე. ერერას. წერილში მას თხოვნით მიმართავენ, რომ ნუღარ ჩაერევა იმ საკითხებში, რომლებიც მხოლოდ იტალიის ფეხბურთის ფედერაციას ეხება.

ამ ულტიმატუმის მიზეზია ის, რომ ე. ერერამ ახლახან სასტიკად გააკრიტიკა ფეხბურთელები, რომლებიც იტალიის ოლიმპიური გუნდისათვის არიან შერჩეული.

## იუნიორთა შორის

სექტემბრის მეორე ნახევარში ვარშავაში ჩატარდება ევროპის პირველობა მძლეოსნობაში იუნიორთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი უკვე 14-მა ქვეყანამ განაცხადა. ესენი არიან ავსტრია, ბულგარეთი, გდრ, გფრ, დანია, თურქეთი, იუგოსლავია, იტალია, პოლონეთი, რუმინეთი, საფრანგეთი, სსრკ, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია. ყოველ ქვეყანას უფლება აქვს თითო სახეობაში მხოლოდ ერთი სპორტსმენი გამოიყვანოს. აღნიშნული ქვეყნების წარმომადგენლებს წინასწარ შეჯიბრებაზე ნაჩვენები უნდა ჰქონდეთ შედეგი, რომელიც პასუხობს, ან აღემატება დაწესებულ ნორმატივს.



უსიტყვოდ...

ნახატი ამოღებულია „სპორტოვიცოდან" (პოლონეთი).

## აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი, სამხრეთი...

▲ **კოპენჰაგენი.** ამას წინათ ევროპის ექს-ჩემპიონმა საშუალო წონის პროფესიულ მოკრივეთა შორის კ. კრისტიანსენმა (დანია) საერთაშორისო ასოციაციას საჩივრით მიმართა იმის შესახებ, რომ მას არასწორად ჩაუთვალეს დამარცხება ლასლო პაპთან ბრძოლაში. კრისტიანსენმა სპეციალურ ჟიურის სატელევიზიო ფილმის ერთი ფირი წარუდგინა. მოკრივის აზრით ფირზე კარგად არის აღბეჭდილი არასწორი დარტყმა, რომელმაც მისი ნოკაუტი გამოიწვია. ჟიური მოკლე ხანში განიხილავს კრისტიანსენის საჩივარს.

▲ **ნიუ-იორკი.** ძალოსნობის ცნობილმა ამერიკელმა სპეციალისტმა ბობ ჰოფმანმა შეადგინა ტოკიოს ოლიმპიური ტურნირის მოსალოდნელ ჩემპიონთა სია. აი, როგორ გამოიყურება იგი: მჩატე — ვახონინი (სსრკ), ქვემსუბუქი — მიაკე (იაპონია), მსუბუქი — ზელინსკი (პოლონეთი), ქვესაშუალო — კურინოვი (სსრკ), საშუალო — ვერეში (უნგრეთი), ქვემძიმე — მარტინი (ინგლისი), მძიმე — ვლასოვი (სსრკ). ამერიკელ ძალოსნებს იგი მხოლოდ ორ საპრიზო ადგილს აძლევს, ქვემსუბუქსა (ბრინჯაოს მედალი) და მსუბუქ (ვერცხლის მედალი) წონებში.

▲ **პარიზი.** მსოფლიოს რეკორდსმენი 2 და 3 კილომეტრზე რბენაში, ევროპის ჩემპიონი 1500-მეტრიან დისტანციაზე, ფრანგი მძლეოსანი მიშელ ჟაზი წელს ცუდ სპორტულ ფორმაშია. სპორტსმენი მიზეზად უმაღლეს სასწავლებელში გამოცდებისთვის მზადებას ასახელებს. მოსალოდნელია, რომ ჟაზი მიმდინარე წელს არც ერთ შეჯიბრებაში არ გამოვა.

▲ **პარიზი.** საფრანგეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა არმან მასარმა კორესპონდენტებს განუცხადა, რომ ტოკიოში დელეგაციის ოფიციალურ წარმომადგენლებად გაემგზავრებიან სხვადასხვა დროის ოლიმპიური ჩემპიონები — ტანმოვარჯიშე ჟოზეფ გიმენა (1920 წ.), მოფარიკავე კრისტიან დ. ორიოლა (1952-56 წ. წ.) და მძლეოსანი ა. მიმუნი (1956).

▲ **რიო-დე-ჟანეირო.** ბრაზილიის ფეხბურთელთა ოლიმპიური გუნდის მწვრთნელი კანელა დისკვალიფიცირებულია ეროვნული ფედერაციის მიერ, მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფის გამო. ტოკიოში ბრაზილიელთა გუნდის მწვრთნელი რენატო ბრიტო იქნება.

▲ **ბონი.** დასავლეთ გერმანიას ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად ეწვია ინგლისის ორი პოპულარული საფეხბურთო კლუბი „არსენალი" და „ჩელსი". არსენალმა ფრედ დაამთავრა მატჩი შტუტგარტში ადგილობრივ გუნდთან 1:1 (1:0), ხოლო „ჩელსიმ" წააგო „მიუნჰენთან" 0:2 (0:1).

▲ **ბუენოს-აირესი.** არგენტინაში გამოიცა სპეციალური კანონი, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს საფეხბურთო კლუბებსა და ტელევიზიის კომპანიებს შორის გამწვავებული ურთიერთობა.

▲ **ლონდონი.** ინგლისში საფეხბურთო სეზონი ტრადიციულად ჩემპიონისა და თასის მფლობელის შეხვედრით იწყება. ეს ამხანაგური მატჩი „ლივერპულსა" და „უესტ ჰემს" შორის დამთავრდა ფრედ — 2:2.

რედაქტორის მაგიერ ზ. ჯაფარიძე.

დღეს! „დინამოს" სტადიონი
ფეხბურთი
სსრ კავშირის პირველობის „ა" კლასის გუნდებისათვის (II ჯგუფი, II ქვეჯგუფი)
„ლოკომოტივი" (თბილისი) — „კარპატი" (ლვოვი)
დასაწყისი 19 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი — 8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 3-35-82 პასუხისმგებელი მდივანი და სპორტული განყოფილება — 3-35-09, ქვესადგური (3-15-00-დან 09-მდე) — პასუხისმგებელი მდივანი — 5-30, სპორტული განყოფილება — 5-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 5-14, ფოტოლაბორატორია — 5-16, მემანქანეთა ბიურო — 5-11, გამომშვები — 3-81.